ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 4 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

„თანამედროვე აზრის" სტამბა

გაზეთი ღირს: თვიურად 2 მან. 60 კაპ., თითო ნომერი 12 კაპ. კანტორა „განათლება" აგენტებს დაუთმობს 9 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი — 30 კაპ. მეოთხე გვერდზე — 15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორი სტრიქონამდე 5 მანეთი, [illegible] ორის შემდეგ — 6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთა შესახებ რედაქცია არ იძლევა [illegible] უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 114 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 114

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი: მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ მერაბის ძენი კილასონიები, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგოვაძისა, ზინა არჩილის ასული კილასონიასი და შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველი უსაყვარლესი შვილის, მეორენი და მესამე ძმის, მეოთხე მაზლის და მეხუთე ცოლისძმისას სამხედრო ექიმის

ანდრო მერაბის ძე კილასონიას

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 11 ივლისს, ქ. კიევში.

უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში შაბათს, 5 აგვისტოს საფიჩხიის სასაფლაოზე საღამოს 5 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 7 ს. გენერლის ქუჩის შესახვევი, საკუთარი სახლი.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

ერთი თვით **2 მ. ნ. 60 კაპ.**, ცალკე ნომერი **12 კაპ.**

გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიად არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება" ოლღას ქუჩა, № 6.

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

8 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ყოველგვარ უფლებით

დ. ი. ბეროზაშვილისა

მიიღებიან მოწაფეები I მოსამზ., უმცროს და უმფროსს მოსამზადებელ I, II, III, IV და V კლასში.

თხოვნების მიღება ყოველ დღე. ◆ გამოცდა დაიწყება 21 აგვისტოს.

დროებითი კანცელარია ღიაა დილის 9—2 საათ. და ს. ღ. 5—8 საათამდე ბათომის ქ., № 23, დიდუბე, (ელისაბედის ქ. ყურე) მეორე სართული ტრამვაი 8.

დიდი მიტინგი და ლიტერატურული საღამო პროვინციაში.

კვირას, 6 აგვისტოს ქ. სამტრედიაში

ნაშუადღევის პირველ საათზე გაიმართება

დიდი მიტინგი

ილაპარაკებენ თფილისიდგან ჩამოსული ორატორები.

მიტინგის შემდეგ გაიმართება

გ. ქუჩიშვილის ლიტერატურული საღამო

I გან. ამხ. ალ. ლომთათიძე წაიკითხავს ლექციას თანამედროვე მომენტზე.

II გ. ნ. მონაწილეობას მიიღებენ ამხ. გ. ქუჩიშვილი, დ. მეჩონგური და სხ.

III გან. წარმოდგენილი იქნება ამხ. ვ. რუხაძის ახალი დრამა „ოქროს კერპი".

საღამოს დასაწყისი და აგრეთვე დაწვრილებითი ცნობები გამოცხადებულ იქნება ადგილობრივ აფიშებში.

საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების სამაჰმადიანო საქართველოში (ბათომის ოლქში)

არსებულ სკოლებში სწავლა 1 სექტემ. დაიწყება.

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ხსენებულ სკოლების ყველა მასწავლებლებს, რომ 1 სექტემბრისთვის თავ-თავის ადგილზე იქნენ.

საქვ. საზ. ბათ. განყ. გამგეობა.

იყიდება

265 სული კარგი ჯიშის საქონელი 4 ფაშატი ცხენი, 10 თითო წლის კვიცი, 10 ჯიშიანი ღორი, 50 დალინის სისტემის სკა და მერძეობისათვის საჭირო ყოველივე იარაღი.

ვთხოვთ ჩარჩებს ნუ შეწუხდებიან.

მისამართი: მანგლისი, ნ. ი. ყვავიშვილი.

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს საშა ჩიგოგიძეს.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ჭონქაძის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 13, ტელეფონი № 11—82.

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკაშვილის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვარიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1.	ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2.	ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 ,,
3.	ს. დ. პროგრამა სომხურად	10 ,,
4.	ს. დ. პროგრამა თათრულად	10 ,,
5.	მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 ,,
6.	მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 ,,
7.	ძირს სოც. დემ. [illegible] რუს.	20 ,,
8.	სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 ,,
9.	[illegible] წიგნაკი ქართულად	20 ,,
10.	ოთხი ძმა ქართულად	35 ,,
11.	კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 ,,
12.	კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 ,,
13.	დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 ,,
14.	დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 ,,
15.	ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 ,,
16.	კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 ,,
17.	უწყება, მე 6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 ,,
18.	იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 ,,
19.	დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 ,,
20.	რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 ,,
21.	რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაუთმობთ, რომლებიც 50 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბარგით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინდაწინ გამოგზავნილი, [illegible] ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организаціи Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9-დან საღ. 9 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი, პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ვყიდი

ჭილოფებს

ხელსაყრელ ფასებში.

(დამზადებული მაქვს 2000 ცალამდე ზომით 2—3 არშინ).

დაკვეთა შეიძლება ასობით და ათასობითაც. ფასებზე მოლაპარაკება პირადად და წერილობით შემდეგი ადრესით: Ст. Ланчхуты, сел. Чибати Маркозу Патараіа.

საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია.

მსოფლიო ომი მეტად ხანგრძლივი გამოდგა. იმპერიალისტებმა გამოიწვიეს საყოველთაო სისხლის ღვრა, მაგრამ მისი დაბოლოვება არ ძალუძთ. ეს აშკარაა ყველასთვის, ვინც თვალყურს ადევნებს ომის მსვლელობას. რაც დრო გადის, მასში მონაწილეთა რიცხვი იზრდება. მოკლედ, ხმალი სუსტი მსაჯული გამოდგა როგორც ეს ჩვენთვის თავიდანვე აშკარა იყო.

მერე ვინ უნდა იკისროს ომის შეწყვეტა და მშვიდობიანობის აღდგენა?

მხოლოდ საერთაშორისო დემოკრატიამ. ომის გაგრძელება ხალხს სრული განადგურებით ემუქრება. სამაგიეროთ, ის დიდ მოგებას უქადის ბურჟუაზიას. ომი მისი გამდიდრების წყარო შექნა. აბა ერთ წუთში წარმოიდგინეთ, რომ კაცობრიობა ეღირსა ნორმალური ცხოვრების აღდგენას, იმ წამშივე დიდძალი ქარხანა, სადაც საომარი მასალა მზადდება, უნდა შეჩერდეს. ეს მთელი მილიტარისტული ინდუსტრიის გაკოტრებაა, რაც ძირფესვიანად შეარყევს ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიის კეთილდღეობას. ამიტომაც არის იმპერიალისტური სახელმწიფოები თავგამოდებით იბრძვიან მშვიდობიანობისაკენ გადადგმულ ყოველი ნაბიჯის წინააღმდეგ.

ამჟამად მთელი ინტერნაციონალი სტოკჰოლმის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოსაწვევად ემზადება. წარმოიდგინეთ, ინგლისის მუშათა პარტიაც კონფერენციაში მონაწილეობის მომხრეა. მთელი დემოკრატია რწმუნდება, რომ ომის დაბოლოვება ისტორიამ მას დააკისრა.

ამ გარემოებამ ყველგან იმპერიალისტების აღშფოთება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ინგლისის შესახებ, ყველაზე უფრო ინგლისელი იმპერიალისტები არიან დაინტერესებული ომის გაგრძელებაში და თავგამოდებით ებრძვიან სოციალისტებს, რომელნიც ომის დაბოლოვებას ითხოვენ. მუშათა პარტიის კონგრესზე სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობის მომხრეთ სხვათაშორის მინისტრი ჰენდერსონი გამოვიდა. ის მუშათა პარტიის წევრია და დღემდის გვერდში ედგა იმპერიალისტებს. ახლა ის მათ წინააღმდეგ ამხედრებულა და ინტერნაციონალურ ოჯახს უერთდება.

ამ გარემოებამ ინგლისის ბურჟუაზიულ წრეებში აღშფოთება გამოიწვია. განა ხუმრობა საქმეა, ინგლისის მინისტრი ომის წინააღმდეგ ილაშქრებს! ასეთ თავხედობას ბურჟუაზია არავის აპატიებს. ჰენდერსონი იძულებული იყო თავისი თანამდებობიდან გადამდგარიყო. მაგრამ ინგლისის მთავრობა ამით არ დაკმაყოფილდა. ის ყოველი ძალღონით ცდილობს სტოკჰოლმის კონფერენციის ჩაფუშვას და ამ შემთხვევაში მოკავშირეთა სხვა სახელმწიფოებიც იწვევენ, რომელნიც საერთოთ ინგლისელ იმპერიალისტთა პოლიტიკას იზიარებენ. გამონაკლისს რუსეთი შეადგენს, რომელიც უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მომხრეა და საერთაშორისო დემოკრატიის ამოძრავებაზე ამყარებს თავის იმედებს. ამიტომაც არის ბურჟუაზიული ინგლისი სასტიკად კიცხავს რუსეთის რევოლიუციონერებს და მათ სამშვიდობო მოღვაწეობას მედგარ ბრძოლას უცხადებს. ინგლისი, ამერიკა და ზოგიერთი სხვა იმპერიალისტური სახელმწიფონი უკრძალავენ თავიანთ მოქალაქეებს სტოკჰოლმში გამგზავრებას და შესაფერ პასპორტებს აღარ აძლევენ. სოციალისტური კონფერენციის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა წარმოებს.

დღეს, როცა ყველასათვის ცხადია, რომ მშვიდობიანობის აღდგენა მხოლოდ საერთაშორისო დემოკრატიას ძალუძს და მის შეთანხმებულ გამოსვლას მოითხოვს, მშრომელი ხალხი ვალდებულია იმპერიალისტთა ოინების წინააღმდეგ შესაფერი ზომები მიიღოს. სტოკჰოლმის კონფერენციას ებრძვიან! დემოკრატია ყოველ ძალღონეს იხმარს ინტერნაციონალური კონფერენციის მოსაწვევად და ამ გზით ომის დასაბოლოვებლად.

ზავი მოახლოვებულია.

ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევა.

ეკონომიური კრიზისი თანდათან ძლიერდება. სასოფლო, სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმოები წარმოუდგენლად ძვირდება და ფართო მასა თავის აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს. მუშათა კლასის ხელფასი ნაწარმოების გაძვირებას ოდნავაც ვერ გაჰყოლია და ხალხის უმრავლესობა დაღუპვის გზას ადგება.

პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ თათბირზე განსაკუთრებული მსჯელობა იქონია უკვე გამძვინვარებულ ეკონომიური კრიზისის შესახებ და რევოლიუციონური ორგანოები გამოსავალ გზებს ეძებდენ.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებში დასახელებული საკითხი პირველად არ დაისვა, იგი მთელი თავისი სიმწვავით რევოლიუციონური ორგანოების თავსატეხ საკითხად გადაიქცა და მის მოწესრიგების გარშემო იხარჯება მთელი მათი ძალღონე. არამც თუ პეტროგრადის რევოლიუციონური საბჭოები თითქმის ყველა ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანოები ამ საკითხის გარშემო ილეწვიან და საზოგადოებრივი ძალების საშუალებით ცდილობენ არსებული კრიზისის განელებას.

ამ მიზნის განხორციელებისათვის ჩვენ მიერ დასახელებული რევოლიუციონური ორგანოები წარმოების სახელმწიფოებრივად მოწყობას და ნაწარმოების თანასწორად განაწილებას მოითხოვენ. უკვე მთელს იმპერიაში მთავარი მოთხოვნილების საგნების მონოპოლიაა გამოცხადებული: პურისა და შაქრის ბარათების საშუალებით გაყიდვას მოითხოვენ. შაქარზე დასახელებულ წესით გაყიდვა უკვე შემოღებულია, ახლა განზრახვა აქვთ, როგორც პურზე ისე ზოგიერთა სამრეწველო ნაწარმოებზე—მტკიცე ფასები დაუწესონ და მით გამძვინვარებული სპეკულიაცია შეაჩერონ. მაგრამ ყველა ასეთი ზომები პალიატიური გამოდგა. ყოველგვარი ნაწარმოები დღითი-დღე საზღაპროთ ძვირდება და იგი აბსოლიუტურ სიმცირეს განიცდის.

შორს აღარ არის ის დრო, როცა პირველ მოთხოვნილების წარმოუდგენელი კრიზისი დაიწყება და მთელი ხალხი დამშევის გზას დაადგება.

დღეს საერთაშორისო ომის მიერ გამოწვეულმა კაპიტალისა და მუშა ხელის ნაკლებობამ წარმოების ყველა დარგები დააქვეითა; კაპიტალისა და შრომის წარმოებაში ამოძრავებამ საგრძნობლად იკლო და მით წარმოების აბსოლიუტური ზრდა შემცირდა. მართალია ბურჟუაზიული კლასების მოგება წარმოუდგენლად გაიზარდა, ომის მეოხებით მათ მილიონები შეიძინეს, მაგრამ ეს ქონება ანდა ზედმეტი მოგება წარმოებაში არ იდება, წარმოების გაფართოებას არ ხმარდება.

ბურჟუაზია თავის ზედმეტ მოგებას, სპეკულიაციის მიერ შექმნილ სიმდიდრეს პირად სიამოვნებაზე, ქეიფ გართობაში ხარჯავს; წარმოების გაფართოებისათვის არაფერს სდებს, მისთვის წარმოების შემცირება და ნაწარმოების ზედმეტ ფასებში გაყიდვა უფრო ხელსაყრელია ვიდრე—ამ საერთო შრომისა კაპიტალის კრიზისის ხანაში წარმოების გაფართოებას შეუდგეს და სახალხო ეკონომია ნაწარმოებით [illegible]. ასეთ პირობებში კი ეჭვს გარეშეა საერთო წარმოების მოწესრიგება, ნაწარმოების თანასწორად განაწილება დიდ შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს. გზა ერთია: უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც წარმოების გაფართოებას ხელს შეუწყობს და შრომისა და კაპიტალს კვლავ წარმოებაში აამოქმედებს. უკანასკნელი გარემოება კი შესაძლებელია როცა მთავრდება ეს ომი, რომელმაც მთელ კაცობრიობას არაჩვეულებრივი კრიზისი დაატეხა. აი ის უტყუარი და ერთად-ერთი გზა, რომელიც მთელ კრიზისს თავიდან აგვაშორებს და მთელ წარმოებას ნორმალურ პირობებში ჩააყენებს. სხვა დანარჩენი ზომები პალიატიურია და იგი დიდ შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ომის გათავება ეკონომიური კრიზისის თავიდან ასაშორებლად საუკეთესო თავდებია.

ქ. თელავის არჩევნების გამო.

ქ. თელავში 6 აგვისტოს დანიშნულია საქალაქო არჩევნები. ძველი პლუტოკრატიული საბჭო ძალა უნებურად უნდა გადადგეს და ადგილი დაუთმოს ახალს დემოკრატიულ საბჭოს.

თელავშიც ისე, როგორც სხვა ქალაქებში, არჩევნებში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პარტიები და ჯგუფები. სოციალდემოკრატები თელავშიაც № 1 გამოდიან. ნაციონალისტური პარტიები იფარებენ ნიღაბს და მშრომელი ხალხის სახელით მოუწოდებენ ამომრჩეველთ მათ მისცენ ხმა. სოც. ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები დაშნაკცაკანები ერთის მხრით და მეორე მხრით სოც. დემოკრატები, აი ვინ იღებს მონაწილეობას ქ. თელავის სა-

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე კარგა ხანია ბრძოლა შეჩერებულია, მხოლოდ უკანასკნელ დროს მტერმა ვილენისა და ტარნოპოლის მიმართულებით კვლავ საარტილერიო სროლა გააცხოველა.

რუმინიის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. განსაკუთრებით ოკნა ფოკშანის რაიონებში. ოკნას დასავლეთით მტერმა რამდენიმე მაღლობი დაიკავა. დანარჩენ ფრონტზე რუმინიისა და რუსის ჯარი მოწინააღმდეგის იერიშებს იგერიებენ.

კავკასიის ფრონტზე მზვერავთა რაზმები იბრძვიან.

საფრანგეთისა და იტალია-ავსტრიის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

არჩევნო ბრძოლაში. პირველი სამი პარტია ჩვენში კარგათ ცნობილია. მათ ჩვენი დემოკრატია იცნობს, როგორც წმინდა წყლის ნაციონალისტურ პარტიებს.

ნაციონალისტები მუდამ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე მეზობელ ერის შვილებს მეტი შევიწროება მიაყენონ და თვითონ გაბატონდნენ ქალაქში. ამ გვარი შუღლ-შემოხლის და უსიამოვნების მოწამე არა ერთხელ ყოფილა თელავი. ნაციონალისტები თელავში უპირდაპირებენ სომხებს, ქართველებს და მათ შორის უნდათ გააჩაღონ საარჩევნო კომპანია. გამოდიან რა მშრომელ ხალხის სახელით ნამდვილათ იცავენ თავიანთი ბურჟუაზიის ინტერესებს და დემოკრატიის სურვილებს გვერდს უვლიან.

ყველა შემოაღნიშნულ ნაკლიდან თავისუფალია მხოლოდ სოც.-დემოკრატიული პარტია. ის თავის დროშის ქვეშ თანასწორი უფლებით აყენებს ყველა ერის მშრომელ ნაწილს და მისი ინტერესების დასაცავათ თავგამოდებით იბრძვის. ხანგრძლივი მუშაობით სოც.-დემ. პ. დაამტკიცა თუ ვის მხარეზეა ის, ვის იცავენ ამ პარტიის ბელადები. იქ, სადაც სოც.-დემ. პარტიის გავლენა ძლიერია—ადგილი არა აქვს ერთა შორის შუღლა-შემოხლას. თელავის მოქალაქენმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და მხარი დაუჭირონ ს.-დემოკრატების სიას № 1.

მრავალი ერებით დასახლებულ თფილისის დემოკრატიამ ნდობა გამოუცხადა ჩვენს პარტიას და საქალაქო არჩევნებში გამარჯვება მას არგუნა. თფილისის დემოკრატიის ნაბიჯი მაგალითი უნდა იყოს პროვინციელ ქალაქებისათვის და განსაკუთრებით თელავისათვის სადაც ქართველ სომხები სახლობენ.

თელავის მოქალაქენო! კვირას, 6 აგვისტოს თქვენ გადაჭრით უნდა შეაქციოთ ზურგი ძველ პლუტოკრატიულ საბჭოს და მათ წარმომადგენელთ არც ერთი ხმა არ უნდა მისცეთ აგრეთვე უნდა დაასამაროთ ნაციონალისტური პარტიების ზრახვანი და დემოკრატიის ლოზუნგებს მიანიჭოთ გამარჯვება.

თქვენი ქალაქის ბედი მიანდეთ დემოკრატიის ჭეშმარიტ წარმომადგენლებს. ისინი იზრუნავენ მხოლოდ თქვენს ინტერესებზე. არჩევნებში მიიღეთ მონაწილეობა ყველამ—ვისაც კი ამის უფლება გაქვს, არც ერთი ხმა არ უნდა დაუკარგოთ სოც.-დემ. სიას № 1.

გამარჯვებული თფილისის დემოკრატია, მოელის, რომ თელაველი მოქალაქენი ჩვენს სიას № 1 მიანიჭებენ გამარჯვებას.

თელავის მოქალაქენო! თქვენი ხმა მიეცით სოც.-დემოკრატიულ პარტიის სიას № 1.

ირ. წერეთელი.

ირ. წერეთლის სამინისტროდან გასვლის შესახებ „დენ"-ი სწერს: „თუ ოდესმე დაწერილ იქნა წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ გადიოდენ სამსახურიდან მინისტრები, წერეთლის სამინისტროდან გასვლის ამბავი ყველაზე უფრო კეთილშობილური გვერდი იქნება ასეთი წიგნისა.

მან თავისი ნებით დასტოვა მთავრობა იმიტომ კი არა, რომ მთავრობას ებრძოდა, იმიტომ კი არა, რომ მისთვის საძნელო საქმე ყოფილიყო ახალ მთავრობაში მონაწილეობა, არამედ—თავი დაანება მთავრობას იმიტომ, რომ რევოლუციონურ დემოკრატიის მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდა და ასე მხარი დაეჭირა მთავრობისთვის. და ეს ბევრმა ასეც გაიგო. რევოლუციონური დემოკრატიის სათავეში წერეთელი უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ახალ მთავრობას, ვინემ იგივე წერეთელი მთავრობის შემადგენლობაში მყოფი".

ეს, თუ გნებავთ, რუსული საზოგადოებრივობის ტრაღედიაა... წერეთელი აღმოჩნდა ის უშიშარი ბელადი, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის ზვირთებში გადაეშვა და გასწია წინ და აი, მას უხდება უკან დაბრუნება, ვინაიდან წინ წაწეული მებრძოლნი დარწმუნებული არ არიან იმაში, რომ მათ უკან საიმედო მებრძოლნი უდგანან რევოლუციონური დემოკრატიის სახით... მის გადადგომაში სწორეთ ეს მხარეა საშიშარი. თავის სიტყვაში წერეთელმა სთქვა: „როდესაც მე მინისტრათ ვიყავი, ყოველთვის ვგრძნობდი თქვენ დადგენილებათა შეუსაბამობას და მათი ცხოვრებაში გატარების შეუძლებლობას. ჩვენ უნდა კრიტიკა გავუკეთოთ დროებით მთავრობას, მაგრამ ნიადაგი კი არ უნდა გამოვაცალოთ მას ფეხქვეშ სავსებით". ასე მიმართა მან საბჭოს სხდომას: ის ამ გვარ შეუსაბამო დადგენილებათა მსხვერპლი გახდა, ამიტომ დასტოვა მან მთავრობა, რათა ეს შეუსაბამობა გამოასწოროს... ახლა ის ჩადგა რევოლუციონური დემოკრატიის პირველ რიგში. და როცა რევოლუციონური დემოკრატიის მოთავეება სურთ სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ბნელ კუთხეში დგეს, მისმა მოვლამ შექმნას ამ დემოკრატიის აყვავების ახალი ხანა".

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 2—3 აგვისტო).

რუსეთის მთავრობა და სტოკჰოლმის კონფერენცია.

პეტროგრადი. რადგან საზღვარ-გარეთის გაზეთებში მოათავსეს ცნობა დროებით მთავრობის სტოკჰოლმის კონფერენციასთან დამოკიდებულების შესახებ, ნამდვილი წყაროებიდან ამის შესახებ გვატყობინებენ: „დროებითი მთავრობა ფიქრობს, რომ ომისა და ზავის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მისი საქმეა, მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად. როგორც არა ერთხელ უთქვამთ, სტოკჰოლმის კონფერენცია განსაზღვრულ პოლიტიკურ პარტიების კონფერენციაა და მისი გადაწყვეტილება მთავრობისთვის სავალდებულო არაა. მთავრობა თავის დღეში არ ფიქრობდა უარი ეთქვა რუს სოციალისტებისთვის სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასასწრებლათ პასპორტის მიცემაზე და არა ერთხელ მინისტრ-თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრის პირით უთქვამს მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებისათვის, რომ სასურველი არაა სტოკჰოლმის კონფერენციას ხელი შეუშალონ. მთავრობას სასურველათ მიაჩნია ამ კონფერენციამ შეიმუშაოს ომის ძირითადი საკითხები, ხოლო შეუძლებლათ სცნობს მათ რაიმე დადგენილებას გადამწყვეტი ხასიათი მიეცეს, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოებს."

არეულობა ესპანიაში.

მადრიდი. სხვადასხვა ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ იქ არეულობა მომხდარა. არეულობა სამხედრო ძალის შემწეობით ჩაუქრიათ. მუშების უმრავლესობას მუშაობის დაწყება უნდა, ხოლო უმცირესობა არეულობის მომხრეა.

ტომას აზრი სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ.

პარიზი. ამომრჩევლებისადმი სიტყვაში ტომა შეეხო სტოკჰოლმის კონფერენციას და განაცხადა: სოციალისტების მიზანს შეადგენს ის კი არა, რომ სტოკჰოლმის კონფერენციაზე ზავის შესახებ შეთანხმდენ ან სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტებთან კომპრომისი მოახდინონ, არამედ გამოძიების შემდეგ გამოიკვლიონ ვინ არის დამნაშავე და ვინ უნდა აგოს პასუხი ამ საშინელ ომის დაწყების გამო. რაც საფრანგეთისა და მოკავშირეებისთვის ნიშნავს სამართლიანობის და უფლების აღდგენას.

ყოფ. მეფის გადაყვანა ცარსკოე სელოდან.

პეტროგრადი. ყოფილ მეფის ცარსკოე სელოდან გადაყვანის შესახებ მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვი იტყობინება. 1 აგვისტოს ღამით დროებით მთავრობის დადგენილებით ყოფილი მეფე თავის ოჯახობით გადაყვანილ იქნა ცარსკოე სელოდან სხვა ადგილას. სად იქნება ის, ამის შესახებ თავის დროზე გამოაცხადებს დროებითი მთავრობა. ტყუილია ის ხმები, რომლებიც გაზეთებში გამოაქვეყნეს სად და როგორ გადაიყვანეს ყოფილი მეფე ცარსკოე სელოდან. დროებით მთავრობის არც ერთი წევრი არ გაჰყოლია მატარებელს. გადაყვანის შესახებ საკითხი ჯერ კიდევ ივლისის შუა რიცხვებში იყო აღძრული სამხედრო-პოლიტიკურ მოსაზრებით და მაშინ საიდუმლოთ განიხილა დროებითმა მთავრობამ და გადაწყვიტა. ამ კითხვის გადაწყვეტაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ არც პეტროგრადის და არც ცარსკოე სელოს საბჭოებს, მთავრობამ ყოველივე საჭირო ზომები მიიღო, რომ ყოფილ მეფის გადაყვანა შესაფერ პირობებში მომხდარიყო და წინასწარ მომხდარის შესახებ მხოლოდ იმ რამდენიმე პირმა იცოდა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ამ საქმის სისრულეში მოყვანა.

პროფ. ბენეშევიჩის თანამდებობიდან დათხოვნა.

პეტროგრადი. პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ბენეშევიჩი საქართველოს ეკლესიის საქმეთა დროებით რწმუნებულის თანამდებობიდან განთავისუფლეს.

საბჭოების აზრი დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

პეტროგრადი. დეპუტატთა საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ბიურო და დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირის მემარცხენე ჯგუფთან ერთად შესაძლებლათ ვერ ცნობს დაჟინებით მოითხოვონ დამფუძნებელ კრების დანიშნულ ვადაზე მოწვევა.

დროებით მთავრობის დადგენილება საქართველოს ეკლესიის შესახებ.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) შეიმუშაოს საქართველოს ეკლესიის რუსეთის სახელმწიფოში მდგომარეობის შესახებ დროებითი წესები. 2) მიენდოს კომისიას, რომლის შემადგენლობას მთავრობა საზღვრავს, შეიმუშაოს საკითხი საჭირო საეკლესიო დაწესებულებათა გამოყოფის საქართველოს საეგზარხოსოდან და საქართველოს კათოლიკოსის გამგეობის და აგრეთვე საქართველოს ეკლესიისთვის შესანახათ ხაზინიდან საჭირო თანხის გადადების შესახებ. 3) ჯერ სანამ საქართველოს ეკლესიის საქმეები მოეწყობოდეს და სარწმუნოების საქმეთა სამინისტრო დაარსდებოდეს, სინოდის ობერ-პროკურორს ისეთივე უფლებები ექნება საქართველოს ეკლესიებზე, როგორიც საქართველოს საეგზარხოსოს შესახებ ჰქონდა.

დროებითი წესები. 1) საქართველოს ეკლესიაში შედიან რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებნი ყველა ქართველი ტომის ხალხი 2) აფხაზების სამრევლოებიც მათი სურვილის თანახმათ შეიძლება შევიდენ საქართველოს ეკლესიაში. 3) ქართულ ეკლესიის სამღვდელო პირნი ასრულებენ ქართველთა სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს. 4) საქართველოს ეკლესია იყოფა ეპარქიებათ და ეს უკანასკნელნი სამრევლოებათ, ხოლო მათი რიცხვი განისაზღვრება მთავრობის მიერ დამტკიცებულ საგანგებო შედგენილ სიით. 5) საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგას მცხეთის არქიეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსი, რომელსაც ირჩევენ საქართველოს ეკლესიის წესით. 6) კათოლიკოსის არჩევნები მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. 7) კათოლიკოსს ეკლესიების მართვა-გამგეობის სრული უფლება ეძლევა. 8) კათოლიკოსს უფლება აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემწეობით დამოკიდებულება იქონიოს რუსეთის სახელმწიფოს გარეშე არსებული ავტოკეფალურ ეკლესიებთან. 9) საქართველოს საკათალიკოსო ეკლესია, საეკლესიო დაწესებულებები და თანამდებობის პირნი ფულს ღებულობენ სახელმწიფო ხაზინიდან 10) საქართველოს ეკლესიის დაწესებულებები იურიდიულ პირთა უფლებებით სარგებლობენ. 11) საქმეების წარმოება და სასულიერო სასწავლებლებში სწავლება ქართულ ენაზე ხდება. 12) ქართულ ეკლესიების სასულიერო სასწავლებლებს სახელმწიფო სასწავლებელთა უფლება აქვთ. 13) ქორწინების და მოქალაქეობრივ მდგომარეობის საქმის წარმოება ხდება საერთო კანონით.

გერმანელები ასაფეთქებელ ნივთიერებას ეზიდებიან ფინლიანდიაში.

სტოკჰოლმი. გაზეთი „ს.-დემოკრატი" იტყობინება, რომ ნორბოტენის მცხოვრებთა ცნობით, გერმანელებს ფინლიანდიაში გადააქვთ ასაფეთქებელი ნივთიერებანი. როგორც ამბობენ, ორგანიზაციის უმთავრესი ადგილი იყო ნორბოტენი. არხანგელსკში მომხდარი აფეთქება ამ ორგანიზაციის საქმე უნდა იყოს.

ფორვერტსის აზრი ინგლისელ დელეგატებზე.

სტოკჰოლმი. ინგლისის მუშათა პარტიის გადაწყვეტილების შესახებ მიიღოს მონაწილეობა სტოკჰოლმის კონფერენციაში „ფორვერტსი" სწერს: „როცა ინგლისის დელეგატები მივლენ სტოკჰოლმში და მოელაპარაკებიან გერმანელ დელეგატებს, დარწმუნდებიან, რომ სცდებიან და მათი მისიაც სხვა ხასიათს მიიღებს".

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.).

პეტროგრადი. 1 აგვისტო. რუმინიის ფრონტზე, ოკნა გროზეშტის რაიონში მთელი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა. 30 ივლისს დაწყებული კონტრ-იერიშები რუმინიის ჯარმა განაგრძო და საღამოს სოფ. სლონიკი დაიკავა. ამავე დღეს რუმინიის ჯარმა გროზეშტის სამხრეთ-დასავლეთით მტერს 6 ვერსის მანძილით უკან დაახევია.

იერიშების მიტანა გრძელდება. ფოკშანის მიმართულებით ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ მტერმა სტრაონმეროშევჩისა და დოაგეს პოზიციებზე იერიში მიიტანა, მაგრამ რუმინიის ჯარმა მათი იერიშები მოიგერია. იერიშები მოიგერია აგრეთვე მაქსიმენის რაიონში. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

პეტროგრადი. 2 აგვისტო. დასავლეთის ასპარეზზე, ვილენისა და ტარნოპოლის მიმართულებით საარტილერიო სროლა გაცხოველდა.

რუმინიის ფრონტზე, ოკნას რაიონში ბრძოლა განელდა. აქ მტერმა რამოდენიმე იერიშების შემდეგ ოკნას დასავლეთით შვიდი ვერსის მანძილზე რამდენიმე მაღლობი დაიკავა. ფოკშანის მიმართულებით აგვისტოს რიცხვებში მტერს იერიში აღარ მოუტანია. კრენდშენის რაიონში მტერმა ენერგიული იერიში მოიტანა და ჩვენი სანგრების ერთი წყება დაიკავა, მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული ადგილები კვლავ უკან დავიბრუნეთ.

კავკასიის ფრონტზე ჩვენი მზვერავთა რაზმები ტირიმოლის რაიონში მტრის სამხედრო საყარაულოს თავს დაესხნენ და იქიდან სამხედრო ტყვეები წამოიყვანეს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ახალი ამბები

◆ **ფარულად ღვინით ვაჭრობა.** ნავთლუღში ფარულად ღვინით ვაჭრობის ნიადაგზე 2 აგვისტოს არა სასურველი ამბავი დატრიალდა, რომელსაც კინაღამ დიდათ საწყენარი შედეგიც არ მოჰყვა. საქმე შემდეგში იყო: ერთ-ერთ სარდაფის პატრონი ჩუმათ აძლევდა ღვინოს ჯარისკაცებს, ბოთლს ორ მანეთად. ამ დროს სარდაფის პატრონს ეს ფასი ეცოტავა და თითო ბოთლზე მანეთი წაუმატა. სამ მანეთად თითო ბოთლი ჯარისკაცებს ეძვირათ, აღელდენ და რამდენიმე ასი კაცი სარდაფს გარშემო შემოერტყა და მოითხოვეს ღვინის გაიაფება. აქ რა თქმა უნდა, გაჩნდა ისეთი პირები, რომლებმაც მოუწოდეს ჯარის კაცებს, სრულიად უფასოდ შეეძინათ რაც ღვინო არის სარდაფში. ეს ჯარისკაცებმა სისრულეში მოიყვანეს დაუყონებლივ. ჩავიდენ სარდაფში და დაიწყეს სმა, რა თქმა უნდა უფასოდ ჯარისკაცებმა ეს ამბავი ყაზარმაშიც გაიგეს და ბევრი მათგანი სარდაფისაკენ გაეშურა საქეიფოთ. სარდაფის წინ გვარიანი მოგრძო „კუდი" გაკეთდა. ასე შესვეს ჯარისკაცებმა იქვე 4 ბოჭკა ღვინო დაახლოებით 160 ვედრო, ერთი ბოჭკაც ამოათრიეს სარდაფიდან და პირდაპირ გაგზავნეს მახლობლათ მე 218 სათადარიგო პოლკის ყაზარმაში და იქაც გააჩაღეს სმა. ამის შემდეგ რა საკვირველია, შექეიფებული ჯარისკაცებიც გამოჩნდენ ქუჩებში, რამაც მილიციონერების ყურადღება მიიქცია. მაგრამ მილიციონერები აბა, რას გახდებოდენ! ისინი სიტყვის უთქმელად მოიშორეს მთვრალმა ჯარისკაცებმა. ვერც დარჩენილმა ფხიზელმა ჯარისკაცებმა მოაწესრიგეს საქმე. მოსალოდნელი იყო უწესრიგობა, რაც უკვე დაიწყო ცოტათი, როცა იმავე უბანში მცხოვრებ კომისარს ბინის ფანჯრები ჩაუმტვრიეს და სხ. ამიტომ საქმის ვითარება ტელეფონით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აცნობეს. საბჭომ შეიარაღებული ჯარი გაგზავნა წესრიგის აღსადგენათ. როცა ეს შეიარაღებული ჯარი მოვიდა, მთვრალი ჯარისკაცები არც მათ დაემორჩილენ, ამიტომ ჯარის უფროსის განკარგულებით მთვრალების შესაშინებლათ უტყვიო რამდენიმე პატრონები გაისროლეს. ამის შემდეგ მთვრალი ჯარისკაცები ყაზარმებში შერეკეს და იქვე დაამშვიდეს, ახლო-მახლო სარდაფებში კი მოახდინა ჯარმა სასტიკი ჩხრეკა და სადაც კი აღმოაჩინა ღვინო სულ ერთიანათ ქუჩაში დაღვარეს. ღვინო დახურულ სარდაფებში აქ, რა თქმა უნდა ბლომათ აღმოჩნდა. ბევრი ღვინო დაიღვარა ქუჩებში.

◆ **ტრამვაის დირექციის დაუდევრობა.** გუშინ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წევრთან ბ. აკაკი ჩხენკელთან გამოცხადდა ტრამვაის 14 მუშა, რომლებიც ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმათ თურმე ფრონტზე უნდა გაიგზავნონ. მუშებმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, ვინაიდან ისინი შემთხვევით, ტრამვაის დირექციის დაუდევრობით გამოუტოვებიათ იმ პირთა სიიდან, რომლებიც უკვე განთავისუფლებით სამხედრო სამსახურისაგან. მუშებმა ა. ჩხენკელს წარუდგინეს ქაღალდი, რომელიც ამტკიცებს, რომ სიის შედგენის დროს ისინი მსახურებდნენ ტრამვაიზე და სთხოვეს მას დახმარება.

◆ **ქურდის შეპყრობა.** 2 აგვისტოს დილის 10 საათზე გაქურდეს ოლღას ქ. № 96 სახლის პატრონი გასპარიანცი. წაიღეს ოქროსა და ვერცხლის ნივთები და რევოლვერი ბრაუნინგის სისტემისა № 135656. იმავე დღეს საღამოს 7 საათზე 1 კომისარიატის მილიციონერმა კოტე გაგნიძემ დაიჭირა მოქალაქე სერგო ბიდელოვი, რომელსაც აღმოაჩნდა გასპარიანცის რევოლვერი. ბიდელოვთან ერთად დააპატიმრეს შალიკო კუჩაშვილი.

◆ **დამფუძნებელ კრების საარჩევნო საგუბერნიო კომიტეტში** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის წარმომადგენლებათ არჩეულია ალ. ლომთათიძე, ვ. ჯუღელი; კანდიდატათ—ვ. ქლინტი. საგუბერნიო სადამფუძნებლო კომიტეტის წევრათ აირჩიეს ამ. გიორგი კონიევი.

◆ **ურილობა** 6 აგვისტოს ყარსში გაიხსნება კოოპერატორების საოლქო ყრილობა.

◆ **თფილისის მ. და ჯ. დეპ. საბჭოს** აღმასრ. კომიტეტმა 2 აგვისტოს სხდომაზე განიხილა საკითხი დროებით მთავრობის შემადგენლობის შესახებ და დაადგინა შეუერთდეს სრულიად რუსეთის მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტისა და გლეხთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ამ კითხვის შესახებ 24 ივლისს მიღებულ რეზოლუციას.

◆ **თფილისის საქონლის სადგურის** მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციაში განცხადება შეიტანა, რომ მუშებს არ აძლევენ შრომის ფასს ზემეტი მუშაობისათვის. ეს განცხადება მუშათა სექციამ საბჭოს პრეზიდიუმს გადასცა განსახილველად.

◆ **მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრში.** მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა გადაწყვიტა ენერგიული მონაწილეობა მიიღოს მოსკოვის თათბირში. თათბირზე დასასწრებლათ აირჩიეს სამი წევრი: ნოე რამიშვილი, ვალიკო ჯუღელი და ილ. ქარცივაძე. მუშათა ცენტრი ავალებს თავის დელეგატებს ხელი შეუწყონ დამფუძნებელი კრების დაჩქარებით მოწვევას, რევოლუციის მონაპოვრებათა განმტკიცებას და ყოველივე საშვალებით ეცადონ, რომ ხსენებულ თათბირმა არ იკისროს დამფუძნებელი კრების მოვალეობა. ასეთივე დადგენილება გამოიტანა მ. და ჯ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა.

◆ **ვერის მუშათა კლუბის კომისია,** მადლობას უძღვნის გიმნაზიის დირექტორს მოქალაქე ისტრინოვს 15 აგვისტომდე სასწავლებლის შენობის უფასოთ დათმობისთვის. კლუბი ამ შენობაში მართავს ლექციებს, წარმოდგენებს; მოაწყო უფასო სამკითხველო, რომელიც ღიაა საღამოს 5—7 ს. სამკითხველოს მისდის შემდეგი გაზეთები: „ერთობა", „ბარბა", „ფიქარი", „სახალხო საქმე", „ეშმაკის მათრახი", „ალიონი", „კავკაზსკი რაბოჩი" და სხ.

◆ **მოპარული საქონელი.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: 30 ივლისს, საღამოს 6 საათზე, თფილისის სადგურის ახლოს შემთხვევით წავაწყდი ჩემთვის უცნობ პირთა ჩხუბს. გამოირკვა, რომ ისინი იყოფდენ ნაპარავ საქონელს, პამიდორსა და საზამთროებს. მე ჩამოვართვი მათ ეს საქონელი და რადგანაც დიდი ხნით მისი შენახვა არ შეიძლებოდა, გავყიდე მილიციონერის თანდასწრებით. თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ ხსენებული საქონელი მისია მიიღებს საქონელში აღებულ ფულს 32 მან. 29 კ. ჩემი მისამართი Стрѣлковая ул. (10 уч.) домъ № 13, кв. 2 Самсонъ Перадзе.

◆ **სურამი.** უსაზღვროთ დაგვამწუხარა პროლეტარიატის მეგობრისა და მუშათა საქმისათვის სამაგალითო მებრძოლის დაუვიწყარ ამხანაგის ესტატე თალაკვაძის უეცროთ დაკარგვამ. არ. აჭარელი, სოსია მელიქიშვილი.

◆ **შავი ზღვის პირის რკინის გზა.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტმა განიხილა შავიზღვის პირის რკინის გზის გაყვანის საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გზის მალე გასაყვანათ საჭიროა ადგილობრივ დაარსდეს ფართო უფლებით კომისარიატი გამოცდილ ინიციატორებისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლობით.

◆ **ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან** არსებულ ამიერ კავკასიის სათათბიროს პრეზიდიუმში აირჩიეს: თავმჯდომარეთ გ. ქურული, თავმჯდომარის ამხანაგებათ ალ. ხატისოვი, ხოსროვ ბეკ სულთანოვი და ფ. ლებედევი, მდივნებათ—არ. ბაბოვი, პეპინოვი, რცხილაძე და ჩერნიშევი.

◆ **საიდუმლო არქივები.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტმა ნება დართო საგამომძიებლო კომისიას ისარგებლოს ყოფილ მეფის მოადგილის კანცელარიასთან არსებულ და საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს საიდუმლო არქივებით.

◆ **ახალი პროფესიონალური კავშირი.** თფილისში დაარსდა საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი. ეს კავშირი შედის სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირში, რომელიც აერთებს რუსეთის ყველა საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეებს, კავშირის წესდება უკვე დამტკიცებულია. გამგეობაში აირჩიეს შემდეგი პირები: პ. აბიტინი, ა. დგებუძე, გ. დუბინსკა, გ. ირიცპუხოვისა, პ. მაცხომიტი, ქ. ნიკიფოროვისა, ა. საფარიანი, პ. ფლორინსკი და ლ. იახნინი.

◆ **ახალი საბჭო.** დღეს, ქალაქის გამგეობა იწვევს ახლად არჩეულ ხმოსანთა ცალკე თათბირს. თათბირზე განიხილავენ რამდენიმე საპროგრამო კითხვებს. ახალი საბჭოს პირველი სხდომა განზრახული იყო მოეწყოთ სახაზინო თეატრში, მაგრამ ს.-დ. მოთხოვნის თანახმად, რომ სხდომას სერიოზული ხასიათი მიეცეს და პირველ დღიდანვე შესაძლებელი იქნეს შეუდგენ საჭირო მუშაობას, პირველი სხდომა მოხდება ისევ ძველი საბჭოს დარბაზში, ორშაბათს, საღამოს 8 საათზე, გარეშე პირებს დაუშვებენ მხოლოდ ქანდარაზე ხმოსნის მიერ მიცემულ ბილეთით. თითოეულ ხმოსანს ამისთვის ეძლევა მხოლოდ ორი შესასვლელი ბილეთი.

— ქალაქის გამგეობამ უკვე დაუგზავნა ახლად არჩეულ ხმოსნებს მასალები იმ საკითხების შესახებ, რომელთა გარჩევა განზრახულია პირველ სხდომაზე.

◆ **კანტორა „განათლება"** უკანასკნელად აცხადებს ყოფილი აგენტების საყურადღებოთ, რომ მათ ეძლევათ 15 აგვისტომდე ვალის გადახდის ვადა, რის შემდეგ მათი სახელი და გვარი გამოქვეყნებული იქნება გაზეთში, იქნება ეს კერძო პირი თუ ორგანიზაციის წარმომადგენელი და მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება შესაფერი ზომები.

◆ **სამგლოვიარო წერილები და დეპეშები.** ლაბინსკაია. ღრმათ დამამწუხრა პროლეტარიატის ინტერესების მედგარ დამცველის, თავისუფლებისთვის პატიოსან მებრძოლის გიორგი მასხაროვის უდროოთ დაკარგვამ. მუხლს ვიდრეკ დაუვიწყარ გიორგის ცხედრის წინაშე. სანდრო ოქრომშელი.

— ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ ამხანაგებისა და ნათესავების მწუხარებას ძვირფასი ამხანაგის ესტატე თალაკვაძის გარდაცვალების გამო. კლიმენტი და ერმოკრატე თალაკვაძენი. ამ გვარივე შინაარსის დეპეშა მივიღეთ კომაროვსკაიადან ყარამან ქარცივაძისაგან.

◆ **ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა,** თფილისის სასურსათო კომიტეტის მიერ მოწყობილ აღწერიდან გამოირკვა, რომ მცხოვრებთა რიცხვი პირველ უბანში უდრის 20,771 სულს, მესამე უბანში—15,780 და მეოთხე უბანში—17361. აღწერა ჯერ ჯერობით დასრულდა მხოლოდ 10 უბანში. ამ 10 უბანში ირიცხება სულ 210588 სული. აღწერა არ მომხდარა პირველ და მეშვიდე უბანში.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური ბიუროს წევრთა მორიგი სხდომა. ამხ. წევრებს ვსთხოვთ უეჭველად დაესწრონ დანიშნულ დროზე. ც. ბ. პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციის ქრონიკა.

გორი. პირველ უბანში შესდგა ქალთა წრე. გადაწყვეტილია პირველ უბანში სამკითხველოს გახსნა ძვირფასს ამხ. გ. მარსაგოვის სახელობაზე. ამ სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლათ ყულაბებით შეიკრიბება ფული. საჭიროა დახმარება წიგნებით და გაზეთებით. შემოწირულება მიიღება: გორის, მუშათა საბჭოში მაშო კაპანაძეს.

ხონ. ჯვარცმა. (გურია). კვირას 23 ივლისს, ჯვარცმის კოოპერატიულ დუქნის „შეღავათის" წევრთა არა ჩვეულებრივი კრება იყო. დაესწრო 120 დე წევრი, სულ ყოლია 350-დე წევრი. თავმჯ. აირჩიეს ს. ბ—ძე, მდივნად ივ. უ—ი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კოოპერატივში 6 თვის განმავლობაში გადაბრუნებულა 35 ათასი მანეთის საქონელი, მოსავალი დარჩენილა 2000 მანეთამდე. საქონლის მომწოდებელს დაუნიშნეს თვიურათ 100 მან., ანგარიშის მწარმოებელს ისევ 15 მან. გადასწყვიტეს მოემატოს მეორე ნოქარი. პირველ ნოქარს დაუნიშნეს თვეში 100 მან., მეორეს 80 მან.

ქ. ახალქალაქი. 23 ივლისს აქ დაიჭირეს ასამდე დეზერტირი.

— ახალქალაქის რაიონში უკვე შეუდგნენ სასოფლო-სამეურნეო აღწერას.

ხად. ზანჯა. აქ 25 ივლისს რკინის გზის ლიანდაგის მე-9 ნაწილის დაბალ მოსამსახურეების პროფესიონალურმა კავშირმა, ამავე ნაწილის უფროსის ინჟინერ პეტროვსკის და ამხ. ვ. გ. რატურგულის ინიციატორობით გამართა სეირნობა, დარიბი მოწაფეების სასარგებლოთ. სეირნობა კარგათ ჩატარდა. ხალხი ბევრი დაესწრო.

ხ. შემოქმედი (გურია). შიმშილი კარზე გვადგია, მთელი სამი თვე სწვიმს. სიმინდი ვერ გაითოხნა. საჭიროა სასურსათო კომიტეტმა ყურადღება მიაქციოს ჩვენ მხარეს. წელს აქ გაიხსნა გომის სამკითხველო, გაზეთები ბლომათ გამოვიწერეთ, მაგრამ ივლისში ცოტა მოვიდა.

ჩაქვი. 27 ივლ. ჩაქვსაც ეღირსა ლექტორის მოწვევა. გვესტუმრა ამხ. თევზაია, რომელმაც ქართულ ენაზე წაიკითხა ლექცია—ილაპარაკა დღევანდელ მომენტზე და სხვა. ხალხი კმაყოფილი დარჩა. ასეთი ლექციები ხშირათ რომ იკითხებოდეს კარგი იქნება.

— შედარებით სხვა დაბებზე ჩაქვი ჩამორჩენილია, აქ არ მოგვეპოვებიან ინტელიგენტური ძალები, რომ ხალხს მასას აუხსნან თუ ვინაა მათი მტერი ან მოყვარე.

ყვირილა. ადგილობრივი ადმ. კომიტეტი ემზადება დამფუძნებელი კრებისთვის და საზოგადოთ ენერგიულად მოქმედობს.

— დ. ყვირილა ქალაქად გადაკეთდა და ახლო მომავალში ხმოსნებსაც აირჩევენ.

ს. ცხინვალი. 23 ივლისს შესდგა სარაიონო კომიტეტის კრება. აირჩიეს დამფუძნებელი კრებისთვის საარჩევნო კომისია. გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ შეუდგნენ არჩევნებისთვის მზადებას. ამავე კრებამ დაადგინა შეუდგნენ მომრიგებელ კამერების დაარსებას იქ, სადაც ასეთი კამერა ჯერ კიდევ არაა დაარსებული. ოსეთში ვიღაცეები აგიტაციას ეწევიან: ლალა არ მისცეთ თავადებსო, თან ნაციონალურ შუღლსაც სთესვენ; ნიადაგიც არის—მემამულენი სულ ქართველი თავადები არიან.

ამავე დღეს შესდგა ცხინვალის რაიონის სასურსათო კომიტეტის—ახლათ არჩეულის—კრება. აირჩიეს გამგეობა: [illegible], გაგლოევი, ოგანოვი. დაადგინეს შეკრიბონ მთელი რაიონი და მათ ჩარჩებს საშუალება მოუსპონ სანოვაგის შეძენისა.

პური ეყიდება გირვანქა 15 კაპ., სიმინდი ფუთი 4 მ.ნ. და 75 კაპ. პურს გლეხები კოდს ოთხ თუმნათ (ფ 10 მ.) ყიდიან. კომიტეტი მთელის მტკიცეთ ფასების დაწესებას.

მილიციონერმა ჯანჯღავაშვილმა და ცხოვრებოვმა დაიჭირეს ქურდი, რომელსაც [illegible] მანუფაქტურა და საწვრიმალო. ნაქურდალი უნდა ეკუთვნოდეს სილოლაშვილის კოოპერატივს, რომელიც ამ დღეებში გაქურდეს. ქურდი გაიქცა, ხოლო ცხენი და საქონელი დარჩა.

დ. მოლითი. (ზედ. მაზრა). კვირას 25 ივლისს მღ. იასონ მხეტრიშვილის ინიციატორობით შემდგარმა კომისიამ მოიწვია ამ საზოგადოების მცხოვრებთა კრება, მოლითში სამკითხველოს დასაარსებლათ. კრებაზე გამოცხადდა 50 კაცი და სულ ყველანი წევრებათ ჩაეწერნენ. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ელ. აბრამიშვილი, მდივნათ კი ს. ს. ციცქიშვილი. კრების გახსნის შემდეგ ამხ. ს. ციცქიშვილმა მოკლეთ განუმარტა დამსწრეთ სამკითხველოს მნიშვნელობა, შემდეგ აირჩიეს გამგეობა.

ქ. ბათუმი. ბათუმის საპარიკმახეროების ქარგლები ძლიერ ჩივიან ცხოვრებას და განაგრძობენ ძილს. ეს მაშინ როდესაც ბათუმში არაა ისეთი დარგი სახელოსნოებისა, სადაც არ იყოს 8 საათის სამუშაო დღე და სხვა.

მოახდინეს აქ ქარგლებმა რამდენიმეჯერ კრება კრებას დაესწრნენ მხოლოდ მცირე წლოვანები, მოზრდილები კი კრებაზე არ მოვიდნენ.

რუსეთის ამბები.

საყურადღებო ციფრები. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობამ მოახდინა ანკეტა რევოლიუციონურ ორგანოთა რიცხვისა და შემადგენლობის გამოსარკვევათ. მართალია, სხვა და სხვა მიზეზების გამო ანკეტა არ არის სრული, მაგრამ მაინც საყურადღებო ციფრებს იძლევა. ყრილობაზე წარმოდგენილი ყოფილა გადაჭრელი ხმით 313 ქალაქი, 336 საბჭო და 23 ერთეული სხვადასხვა სამხედრო ნაწილებისაგან. სულ ამ საბჭოებსა და სამხედრო ერთეულებში შეკავშირებულია 20,323,000 კაცი. არ არის გამორკვეული, თუ რამდენია ცალკე შეკავშირებულ მუშების, ჯარისკაცების და გლეხების რიცხვი. ცნობები მიღებულია მხოლოდ 5,100,000 მუშების, 8,149,000 ჯარისკაცთა და 4,239,000 გლეხთა შესახებ.

— **შაქარი.** 1916 წლის მოსავლის დარჩენილი ქარხნიდან დაუმუშავებელი შაქარი შეადგენს 82.680.578 ფუთს. წარსულ წელთან შედარებით ნაკლებია 31 მილიონი ფუთით. უნდა მივიღოთ სახეში, რომ ფინლიანდიაში უნდა გატანილ იქნას 1 ნახევარი მილიონი ფუთი შაქარი, 1 მილიონიც წლის გასულს დაუმუშავებელი იქნება. ასე რომ, მთელი სახელმწიფოსთვის დაგვრჩება 79 მილიონ ნახევარი ფუთი შაქარი. რა ნაირი ზომებიც არ უნდა იქნას მიღებული მაინც დააკლდება 8—9 მილიონი ფუთი შაქარი.

— ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა დასარიგებლათ ერთდროული დახმარების სახით მთავრობამ გადასდო 11 მილიონ-ნახევარი მანეთი.

— **მარკოვი მეორე.** განსაკუთრებულმა საგამომძიებლო კომისიამ ჩვენება ჩამოართვა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მეთაურს ცნობილ მარკოვ მეორეს. როგორც ჩვენებიდან გამოირკვა ის თურმე შავრაზმული გაზეთის „ზემშჩინას" გამოსაცემათ თვიურათ ხაზინიდან ღებულობდა 12 ათას მანეთს. ქაღალდის გაძვირების გამო მიუმატეს თვიურათ 4 ათასი მანეთი. ამ ფულებს გარდა 1916 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროის პოლიციის დეპარტამენტისაგან მარკოვს მიუღია 70—80 ათასი მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

[illegible] ამიერ-კავკასიაში სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

ზოგიერთ რაიონებში ასეთ აღწერას უკვე შეუდგნენ, სხვა რაიონებისთვის აღმწერთა შტატი შედგენილია და ამ ახლო ხანში შეუდგებიან საქმეს.

ამგვარ აღწერას დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა გამორკვეულ იქნას ამიერ-კავკასიაში სასურსათო საკითხი, უნდა მოხდეს საადგილმამულო აღწერა, რათა მიწის საკითხის შესახებ მომავალი დამფუძნებელი კრებისთვის მასალები მომზადდეს.

ამიერ-კავკასია როგორც ბუნებრივათ, ისე კულტურულ ეკონომიურის მხრით ერთს მთელს არ წარმოადგენს.

იმ საზომით მუშაობა, რომლითაც ამა თუ იმ დარგში შესაძლებელია ამიერ-კავკასიის ერთს კუთხეში, შეუძლებელია მეორეში და პირიქით.

ამიტომ, როცა რაიმე საკითხი სდგება საერთოდ ამიერ კავკასიისთვის, უნდა ყოველთვის გათვალისწინებულ იქნას ამ მხარის შემადგენლობის სხვადასხვაობა და მუშაობაც ამის შესაფერისი უნდა იქნეს. ეს მუშაობის ტეხნიკური მხარეა, რომელსაც ყოველთვის უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში. მაგრამ ჩვენში ხშირად ასე არ მსჯელობენ ზოგიერთები და რა საკითხიც არ უნდა დადგეს მათ წინაშე ამიერ კავკასიისთვის, ერთი დაკვრით, საერთო საზომით სწყვეტენ და აწესრიგებენ. ამგვარ აზრს იცავდა ერთი მიმდინარეობის ხალხი, როცა დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის ამიერ კავკასიის ოლქებათ დაყოფის საკითხი დადგა ჩვენს წინაშე. მათი აზრით უკეთესია ერთი საარჩევნო ოლქი, ვინაიდან უმცირესობის ინტერესები არ შეიბღალება! მაგრამ სხვა მოსაზრებანი მათ ჭკუაში არ მოსდით! მაგ., სად არის იმის გარანტია, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მთელს ამიერ კავკასიაში ერთსა და იმავე დროს მოხდება? ვინ იქნება იმის თავდები, რომ ერთი, გინდ ორი კუთხე მთელს ამიერ კავკასიას რამდენიმე ხნით უწარმომადგენლოთ არ დასტოვებს. ამის მაგალითი რამდენიმეთ მაინც თვალწინ გვიდგას ამ ჟამათ.

„კავკაზსკოე სლოვოს" ნუხიდან ატყობინებენ: „პირველ აგვისტოს ვარაშენის გზაზე ბოროტ-მოქმედებმა მოკლეს აღწერის ინსტრუქტორი ამირჯან-ბეკ-ბადალოვი. სტატისტიკ აღმწერებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე იმ დრომდე, სანამ მაზრაში სრული წესიერება არ იქნება აღდგენილი".

ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საერთო აღწერას ხელს არ შეუშლის „წესიერების აღდგენამდე" თუ არ იმუშავებენ, მაგრამ ერთიც წარმოიდგინოთ—ასეთი ან სხვა დაბრკოლება გაჩნდა კავკასიის რომელიმე კუთხეში დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს,—რა იქნება?

სანამ ერთ ადგილს წესიერება არ იქნება აღდგენილი ან სხვა დაბრკოლება დაძლეული, მეორე კუთხე, სადაც ასეთი დაბრკოლება არ სუფევს, უდეპუტატოთ დარჩება! და ვინ იცის როდის იქნება მოსპობილი ეს დაბრკოლება?

ამიტომ იყო საჭირო, სხვათა შორის დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ამიერ-კავკასიის რამდენიმე ოლქათ დაყოფა და არა ერთად დატოვება.

რა საკითხიც არ უნდა სწყდებოდეს ამიერ-კავკასიისათვის უეჭველად ანგარიში უნდა გაეწიოს საქმის ტეხნიკურ მხარესაც.

თფილისელი.

მ უ რ ი ა

ძღვნით ლოლა ნ—ძეს.

კავკასიის თაიგულო, საქართველოს მკვირცხლო შვილო,
სანეტაროთ, სასიცოცხლოთ, აყვავებულ, გულ-გაშლილო;
ერთობის და სიყვარულის დაუშლელო მტკიცე ბუდე
და დამნთებო ბრძოლის ცეცხლის—გადალახე ტანჯვის ზღუდე!..

* * *

როცა ირგვლივ ღამე იყო, შენ გაშალე დროშა დღისა,
ცოდნის ლამპრით გაანათე ბნელი ყოფნა მონებისა...
შენ, შენ ამცნე მაშვრალთ ლხენა, შენ წინ გასწი, შეუდრეკო,
შენ არ უნდა დაიძინო, წინსვლის ზარი მუდამ რეკო...

* * *

ვხედავ ამ შენ გაშლილ გულ-მკერდს, წყაროთ ლიკლიკს ვისმენ ფრთხილათ,
ვაცქერდები კლდე, ქოჩორ მთებს, გედებები მკერდ გაშლილათ...
და ვნეტარობ, თავს გევლები, შენ იმედით ვდევნი მტერსა...
დრო გავა და მე მოვკვდები?!. შენ გაჰკაფავ ამ გზა-ბნელსა...

* * *

შრომის ქნარა მაქ დაითო...
თოხი ჩაქუჩს შეათვისე,
გადასძახე მთელ მსოფლიოს
გულმოდგერმა ისე, ისე,
რომ ის გამოგეხმაუროს,
ძმურათ მოგცეს ძმისა ხელი,
და აჰა, დროც ახლოვდება
კაცობრიობის დახსნილი...

* * *

მე სუსტი ვარ, შენით ძლიერი, შენი ძე ვარ, შენგან ზრდილი,
შენ მასმინე მშობლის ენა, შენ მაგემე ძუძუ ტკბილი...
და აჰა, შენვე მიიღებ რაც მქონია, მაქვს, მექნება:
სიცოცხლე და სიყვარული შენი არის, შენ გერგება!

* * *

კავკასიის თაიგულო, ცელქო ბიჭო, გიჟო ქალო,
თავისუფლების სიმაგრე შემინახე, არ დაშალო!

დ. მეჩონგურე.

მცხოვრებთადმი მიმართვა.

(მიღებული ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე).

ამ უკანასკნელ ხანებში ჟურნალ გაზეთებში საყვედურები გაისმის, რომ ფოსტა ტელეგრაფის უწყება ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნებს და სხვა.

არ ვამბობთ იმას, რომ ამ ომის დროს კორესპონდენციების გადაგზავნ-გადმოგზავნის საქმე რიგზე ყოფილიყოს მოწყობილი, წერილებს და სხვა ამანათებს ძლიერ აგვიანდებოდათ, მაგრამ ყველა ამის მიზეზი იყო თვით ამ დაწესებულების მოუწყობლობა და არა მოსამსახურეთა გულგრილობა და საქმის დაუდევრობა. არავინ არ ცდილობდა, რომ საქმე რიგზე დაეყენებია, არ გვქონდა არც გაუმჯობესებული აპარატები, არც საჭირო მასალები, არც რიგიანი სახლი. ყოველივე თხოვნებს, პროექტებს და მოხსენებებს მაღლის ქვეშ სდებდენ და არავინ მას ყურადღებას არ აქცევდა. არ იყო სპეციალური სკოლები, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო სპეციალისტების მომზადება. ომის დაწყებისას ტელეგრაფის აპარატები ბრძოლის ველისკენ წაიღეს, რიგიანათ მომზადებული მოხელენი იქ [illegible] გამოცდილი დამტარებულნი სამხედრო სამსახურში წაიყვანეს, ვინც დარჩა ბევრი მათგანიც სხვა სამსახურში გადავიდა, რადგან აქ მიღებული მცირედი ჯამაგირი ვერ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს. ამ უკანასკნელ დროს ძლიერ იმატა მთავრობის და გაზეთების დეპეშებმა და ეს ძლიერ აფერხებდა კერძო დეპეშების გადაცემას.

უფრო ცუდათ იყო ფოსტის საქმე, რადგან ტრანსპორტის საქმე შეფერხდა, მრეწველები ფოსტას დაეწყენ და აუარებელი საქონლის გზავნა დაიწყეს ფოსტით. რადგან ფოსტის ვაგონი ვერ იყო საკმაოთ მოწყობილი, ამ გვარი ამანათები იგზავნებოდა საქონლის მატარებლების ვაგონებით. ფოსტას აუარებელი საქმე გაუჩნდა, რადგან ჯარში წერილების გაგზავნა უფასო იყო, ხალხმა აუარებელი წერილების გზავნა დაიწყო წერილების გადასარჩევი ოთახები ყოვლად უვარგისები იყო. რადგან საფოსტო ვაგონების მაგიერ, ხშირათ ფოსტა სამგზავრო ვაგონებით გადაჰქონდათ, წერილების გადარჩევა ხშირათ გვიხდებოდა იატაკზე.

ყველა ამის მიხედვით ყრილობა აუცილებელ საჭიროებათ სცნობს ძირიანად შეიცვალოს ძველი ფოსტა ტელეგრაფის უწყება და მოსამსახურეთა მდგომარეობაც გაუმჯობესებულ იქნას.

პროფესიონალური მოძრაობა.

რუსეთის ყველა პროფესიონალურ კავშირებისადმი.

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ შემდეგი მოწოდება დაუგზავნა რუსეთის ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს:

ამხანაგებო! სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენცია, რომელიც პეტროგრადში მუშაობდა 20—28 ივლისამდე, რევოლიუციონური კლასიური ბრძოლის იმავე ნიადაგზე შედგა, რომელსაც რუსეთის პროფესიონალური მოძრაობა მთელს თავის არსებობაში არ მოშორებია.

მიიღო რა სახეში მთელი პოლიტიკური და სოციალ ეკონომიურ მდგომარეობათა სირთულე, კონფერენციამ პროფესიონალურ მოძრაობის მომუშავეთა სახელმძღვანელოთ თავისი აზრი გამოსთქვა.

კონფერენციამ აღიარა, რომ პროფესიონალურმა კავშირებმა ბრძოლა უნდა აწარმოონ პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად, მათ შორის უნდა იყოს მჭიდრო კავშირი, პროფესიონალურმა კავშირებმა უნდა მხარი დაუჭირონ პროლეტარულ ორგანიზაციებს, რომელთა მოღვაწეობა მიმართული იქნება რევოლიუციის გამაგრება-გაღრმავებისა და მუშათა კლასის სოციალისტურ მოპოვებათა გაფართოების შესახებ. ამასთანავე პროფესიონალურმა კავშირებმა ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობის აღსადგენათ; ამავე დროს კონფერენციამ გარკვევით და გადაჭრით აღნიშნა პროფესიონალურ კავშირთა მიზანი, როგორც მუშათა ეკონომიური ბრძოლის მწარმოებელი კლასიური ორგანიზაციებისა. კონფერენციამ დააწესა ორგანიზაციის ფორმა, აღნიშნა ეკონომიური ბრძოლის ტაქტიკა, გამოიმუშავა მუშათა კანონმდებლობის ფართო გეგმა, გაარკვია პროფესიონალური კავშირების როლი 8 საათის სამუშაო დღის მოპოვების საქმეში, გამოიტანა დადგენილება კოალიციის სრული, განუსაზღვრელი თავისუფლების, დედაკაცთა და ბავშვთა შრომის პირობების დაცვის შესახებ, მოითხოვა პროფესიონალური კავშირების მიერ მონაწილეობის მიღება ადგილობრივ თვითმართველობებში და წარმოების მოწესრიგების საქმეში. პროფესიონალურ კავშირებს აგრეთვე წინ დაუყენა საკითხი კულტურულ განმანათლებელი მოღვაწეობისა და პროფესიონალური პრესის შექმნის შესახებ.

ახლა ყველა ეს დადგენილებანი ცხოვრებაში უნდა გატარდეს. კონფერენციის მიერ არჩეული ცენტრალური საბჭო მოუწოდებს ამხანაგებს მეგობრული მუშაობისაკენ. ჩვენი დადგენილებანი არ უნდა დარჩენ ქაღალდის ნაკუწებათ, რომლებზედაც მხოლოდ ლამაზი სიტყვებია დაწერილი,—ეს დადგენილებები ცხოვრებაში უნდა იქნან გატარებული. განსაკუთრებით ეხლა გვმართებს სიფრთხილე, როცა კონტრ რევოლიუციამ თავი წამოყო და პროლეტარიატს ემუქრება პოლიტიკურსა და ეკონომიურ მოპოვებათა წართმევით; საჭიროა ახლა გაერთიანებული ძალით პასუხი გავსცეთ რეაქციას და მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ ახალი რუსეთის შექმნა-მოწყობის საქმეში.

გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ მხოლოდ მაშინ შესძლებს ნაყოფიერ მუშაობას თქვენ მიერ არჩეული ცენტრალური საბჭო, თუ კი თქვენში ჰპოვებს ის როგორც ნივთიერს, ისე ზნეობრივ მხარის დამჭერთ! კონფერენციის მიერ გამოტანილი დადგენილებები დაუყოვნებლივ ცოცხალ საქმეთ უნდა ვაქციოთ. უნდა შევაკავშიროთ პროლეტარიატი კლასობრივი ბრძოლის დროშის ქვეშ მუშათა საბოლოო მიზნის—სოციალიზმის მოპოვების ბრძოლისათვის.

ამხანაგებო, მეგობრული მუშაობით, წინ გავსწიოთ!

არჩევნების მოლოდინში.

(ქუთაისი).

საინტერესოა ქუთაისი არჩევნების სამზადისში. ყველა პარტიები დიდ ფაცი-ფუცში არიან და არჩევნებისათვის ემზადებიან. აქ შეხვდებით მუშებს, რომლებიც აკრავენ № 1 ს. დ. პარტიისას, სალდათები და პრაპორშჩიკები № 2 ს.-რევოლიუციონერებისას, რომლებიც წითლათ დაბეჭდილ განცხადებების აკრავენ.

აქვე ნახავთ მოწაფეებს, რომელნიც არამც თუ თავის ალაგს, შესაძლებელ კარებზედაც კი აკრავენ № 3 ს. ფედერალისტებისას და სხვას. ყველანი ხალხს ურჩევენ ჩვენი პარტია ნამდვილი მუშათა პარტიაა და ჩვენ მოგვეცით ხმაო. მაგრამ ეს თვით დემოკრატიის საქმეა თუ ვის ჩააბარებს თავის და ქალაქის ბედიღბალს კვლავ პლუტოკრატიას, თუ თვითონ სურს უპატრონოს თავის თავს, ამას ახლო მომავალში არჩევნები დაგვანახვებს.

მე მინდა მხოლოდ გაკვრით მოგახსენოთ იმ მიტინგზედ, რომელიც გამართა რ. ს. დ. მ. პ. ადგილობრივ კომიტეტმა ამხ. მელიტონ ბერიშვილის და იცკა რიგინაშვილის მოსახსენებლად.

30 ივლისს დილის 9 საათი იქნებოდა, როცა მ. და ს. საბჭოს წინ იწყო შეკრება ხალხმა სხვადასხვანაირ წარწერიან დროშებით. ყველას ყურადღებას იპყრობდა სურათი დაფნის ფოთლებით შემკული იცკა რიგინაშვილისა.

დილის 10 საათი იქნებოდა, როცა ხალხი დაიძრა. წინ მიუძღოდა ი. რიგინაშვილის სურათი, მასთან დროშები, შემდეგ მომღერალთა გუნდი და ხალხი მწყობრად დაწყობილი მარსელიოზის სიმღერით გაემართენ სასაფლაოზედ.

პირველად ამხ. მელიტონ ბერიშვილის საფლავზედ მივედით. ორატორებმა წარმოსთქვეს სიტყვები რუსულ ქართულად, აღნიშნეს მისი დაუღალავი და ენერგიული მუშაობა მუშათა კლასისათვის. შემდეგ ტრიბუნაზე ადის გრ. ურატაძე და ამბობს: ამხანაგებო! აი ჩვენ [illegible] ჩვენი საუკეთესო მუშაკი, ჩვენთან ჭირში და ლხინში [illegible], ჩვენი პარტიული ამხანაგი, რომელსაც თორმეტი წლის მზის სინათლე არ უნახავს—ეს არის ჩვენი პარტიული სტამბა... ამ სიტყვებს ხალხი ტაშის ცემით შეხვდა. მერე გავემგზავრეთ იცკა რიგინაშვილის საფლავზედ. სხვათა შორის ლაპარაკეს ქართველ ებრაელებმაც, ხაზ გასმით თითქმის სულყველამ ის აღნიშნა, რომ იცკა პირველი მებრძოლი იყო ქართველ ებრაელთაგანი. აღნიშნეს მისი მოქმედება მოწაფეობის დროს და შემდეგ, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი ადარ დასცალდა 18—20 წლისას 1906 წელს ტყვიით გაუგმირეს გული. სიტყვები წარმოსთქვეს დაახლოვებით 25 ორატორებმა.

შემდეგ ისევე მწყობრათ წამოვედით, როცა მოვედით მ. და ს. საბჭოს წინ აქ ტრიბუნაზედ ადის ტრ. სალაია და ამბობს, რომ სტამბის შენახვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მელიტონს. თანაც სტამბის შენახვაში დიდათ ხელს უწყობდა ერთი მოხუცი ადამიანი, თითქმის მას ჰქონდა მიბარებული, რომელიც აყვეთ ხელში და ოვაციებს უმართავენ. შემდეგ ორატორები ეხებიან ქალაქის არჩევნებს და მოუწოდებენ ამხანაგებს, რომ მარტო მოგონება ძველი მებრძოლის არ კმარაო, იმათ პატივსაცემათ ვეცადოთ, რომ ქალაქის არჩევნებში დემოკრატიის ნამდვილი დამცველი გავიყვანოთო. და ბოლოს ტრიბუნაზე ადის სტამბის შენახველი შავებით შემოსილი ქალი, რომელიც ულოცავს ამხანაგებს და უსურვებს შეერთებულ ენერგიულ მუშაობას. ამის შემდეგ მიტინგს დახურულად აცხადებენ.

ვ. ალია.

ქათალიკოზის არჩევნების შესახებ.

გაზეთებში უკვე გამოცხადდა საეკლესიო დროებითი მმართველობის მიერ დადგენილი დღე საქართველოს ქათალიკოზის არჩევისა, აგვისტოს 15 რიცხვი. ვინაიდან საქართველოს დიაკონ მედავითნეებს არა ყავთ საეკლესიო დროებითი მმართველობაში თავისი წარმომადგენელი და ამის გამო შეძლება არ ჰქონდათ იქ თავისი აზრის გამოთქმისა ამ საგანზე, ამიტომ იძულებულნი ვართ განვაცხადოთ პრესის საშუალებით, რომ ეს ვადა ქათალიკოზის არჩევნებისა მცირეა. თუ გავიხსენებთ, რომ ექვს აგვისტოს ქუთაისში დანიშნულია საქალაქო არჩევნები, მაშინ დავრწმუნდებით, რომ 15 აგვისტოს მოსახდარი საქათალიკოზო არჩევნები იქნება ნაჩქარევი და სახელდახელო. ამასთანავე გავიხსენოთ ისიც, რომ ქათალიკოზის ასარჩევად უნდა აირჩიონ დელეგატებიც და 500 კაცი იქნება დაბანდებული თფილისში იმ დროს, როდესაც სოფელში ხალხი იღებს მოსავალს. ამიტომ დიაკონ-მედავითნეთა ორგანიზაციას საჭიროთ მიაჩნია ქათალიკოზის არჩევნები დანიშნულ იქნეს 8 სექტემბერს ღვთისმშობლის დაბადების დღეს, რადგანაც ეს დღე უფრო შეეფერება ეკლესიის განახლებას. კურთხევა ქათალიკოზისა მოხდეს პირველ ოქტომბერს, როდესაც დელეგატების გარდა თავისთავად მოიყრის თავს მცხეთაში აუარებელი ხალხი.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ წინ გვისწრობს რუსთა ეკლესიის კრება, ამას ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რადგან ამ კრებას ჩვენზე გავლენა არ ექნება.

საქართველოს დიაკონ მედავითნეთა ცენ. ორგანიზაცია თფილისში.

რევოლიუცია პროვინციაში

ხ. ქახათი. (ოდიში). ქახათელებიც შეუდგნენ თავისი შინაური საქმეების მოწესრიგებას, აირჩიეს ასის და ათის თავები და სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც დღე და ღამ თვალყურს ადევნებს ყველა საქმეებს.

სოფ. კომიტეტი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. მათმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, საგრძნობლად შემცირდა ქურდობა და ბევრი მავნე პირები იქნა ამოგდებული. ყველამ იგრძნო ერთობის ძალა.

როგორც საზოგადოთ ყველგან თვითმპყრობელობის დარაჯები ვერ შეურიგდნენ რევოლიუციას და დაიწყეს პრავაკატორული მოქმედება. ცნობილი ჯაშუში ს—ჩემინავას მარჯვენა ხელი, ჯაშუში და პროვოკატორი თეიმურაზ ნორაკია და მისი ერთგული მეგობარი ევნატე დარასელია სოფლის სასამართლოში გამოცხადდენ ყრილობაზე და ორიოდე პირის საშუალებით უკმაყოფილება გამოაცხადეს და მოითხოვეს კომიტეტის გადაყენება. ეს ყოველივე ეცნო მაზრის კომისარიატს. ჩამოვიდა კომისარი ესტატე ლატარია და მაკარი ყოლბანდარია. დიდი კამათის შემდეგ კომისარმა მოითხოვა საბუთები კომიტეტის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ვაჟბატონებმა ვერაფერი საბუთი ვერ წამოაყენეს, ამის შემდეგ ე. ლატარიამ და მ. ყოლბანდარიამ გააფრთხილა ეს ლევანმირები მეორეთ აღარ დაეწყოთ ასეთი ხრიკები.

ინანი.

ხად. სუფსა. (გურია). 28 ივლისს შესდგა სუფსის რაიონული სასურსათო კომიტეტის კრება. რაიონულმა კომისარმა ამხ. ვარლამ აფრიდონიძემ მოკლეთ მოხსენება გააკეთა, სადაც აღნიშნა სასურსათო რაიონული კომიტეტის მოვალეობა და მათი დამოკიდებულება სხვადასხვა კომიტეტებთან როგორც სამაზრო, ისე საგუბერნიოსთან. შემდეგ კრება შეუდგა დღიურ წესრიგის შესრულებას. პირველ კითხვას შეადგენდა სანოვაგეზე ნიხრის დაწესება, რადგანაც სანოვაგე სუფსიდან გადის სხვადასხვა კუთხეში, ამიტომ ყველა წვრილმანი კითხვა დიდ კამათს იწვევდა. დიდი კამათი გამოიწვია სიმინდის საკითხმაც. უნდა ითქვას, რომ სუფსა დასავლეთ საქართველოში ერთად-ერთი ადგილია, სადაც ყველაზე მეტი სიმინდი მოჰყავთ, მართალია ეხლა ნახევარზე მეტი გაყიდულია და ვისაც დარჩა გაუყიდავი ფასის აწევას ელიან. ამიტომ რაიონულმა კომიტეტმა დაადგინა, მესიმინდემ გაყიდოს სიმინდი ფუთი 3 მ. 30 კ. ამას გარდა კრებამ დაადგინა რაც სიმინდი აქვთ კერძო ვაჭრებს ჩამოერთვას და გადაეცეს კოოპერატივს და შემდეგ მათ ნება არ ჰქონდეთ იყიდონ სიმინდი. სისრულეში მოყვანა ამ დადგენილებისა ევალება რაიონულ კომისარს. ბოლოს არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი, თავმჯდომარეთ გიორგი გძელიძე, ამხანაგათ ლადიკო ჩხაიძე, ქრისტეფორე ჯიჯეიშვილი, და კოლია სარიშვილი. პრეზიდიუმი უკვე შეუდგა დადგენილების სისრულეში მოყვანას—კომისართან ერთად.

რიჟა.

პროვინციის ცხოვრება.

ხოფ. მანავი (გარეთ კახეთი). 23 ივლისს ს. მანავის საზოგადოებამ ხელახლა აირჩია გლეხთა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი. ყრილობას დაესწრო სართიჭალის სარაიონო გლეხთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კ. კანჯარაშვილი, რომელმაც გააცნო ხალხს მდგომარეობა ფრონტზე და მოუწოდა დეზერტირებს დაბრუნდნენ პოზიციებზე და ნუ გახდიან სამშობლოს და რევოლიუციას მტრის საძაგნათ. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ მანავი ძალიან ჩამორჩენილი სოფელია. არავის გაზეთი არა აქვს გამოწერილი და მით მოწყვეტილი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებას. არ იციან რა ხდება სახელმწიფოში, ფრონტზე და სხვა. ამხ. კანჯარაშვილმა ურჩია მანაველებს გამოეწერათ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობა“. აქ იჯარით აქვს გულიანცს სახაზინო ტყე, სადაც ამზადებს „შპალს“. მანაველები ამით უკმაყოფილონი არიან, რადგან ის თურმე ტყეს უწყალოთ სჩეხს და იმის გარდა, რომ შემდეგში უტყეოთ დარჩებიან სოფლელები, ისედაც წყლით ღარიბ სოფელს უწყლობა მოელის, რადგან წყალს სათავე ამ ტყეებში აქვს. მანაველებს განძრახვა აქვთ გულიანცს აუკრძალონ ტყის ჩეხვა, მაგრამ თანაც შიშობენ ვაი თუ ომისთვის საჭირო მასალას ამზადებს, არ იციან ვისგან აქვს ტყე აღებული. ამხანაგი კანჯარაშვილი შეპირდა, რომ მაგ საქმეს გამოვარკვევთ რაიონის საბჭოში და თუ საჭირო იქნება ჩვენ თითონ მივცემთ წინადადებას, რომ ხელი აიღოს ტყის ჩეხვაზეო.

„ქარანაანთ ვახუა“.

ქ. ახალქალაქი. 23 ივლისს დანიშნული იყო ადგილობრივი სასურსათო კომიტეტის წევრთა კრება. ეს კრება პირველი იყო ახლად არჩეულ წევრებისა და მოელოდენ ყველა წევრების გამოცხადებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი მესამედიც არ გამოცხადდა. ამიტომ კრება უკანონოთ იქნა აღიარებული და შემდეგისათვის გადაიდო.

კარგი იქნებოდა, რომ „ბატონი წევრები“ მარტო სახელს არ ატარებდენ წევრობისას და საქმითაც აკეთებდენ რამეს, ვინაიდან სასურსათო საქმე ძალზე აწეწილ-დაწეწილია და მოითხოვს ენერგიულ მუშაობას.

ამავე დღეს მოხდა ადგილობრივი აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა სხდომა. თფილისის კომისარიატის მიერ საგანგებოთ გამოგზავნილმა პირმა გააკეთა მოხსენება და განაცხადა, რომ მას დავალებული აქვს მოახდინოს ახალი არჩევნები აღმასრულებელ კომიტეტის წევრებისა, როგორც სოფლათ, ისე ქალაქში; ამისათვის საჭიროა თქვენი დახმარება, რომ მალე დასრულდეს ეს არჩევნებიო, სთქვა მომხსენებელმა.

კრებამ გადასწყვიტა მიეცეს მომხსენებელს ორი თანაშემწე, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას.

ამ კრებაზედვე არჩეულ იქნა ერთი წევრი იმ კომისიაში სამუშაოთ, რომელმაც უნდა მოახდინოს ჯარისათვის თივისა და ბზის რეკვიზიცია.

სხდომის დასასრულ სადაგილ-მამულო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. პიჩკიანმა გააკეთა მოხსენება მიწის საკითხის შესახებ და საჩივარი განაცხადა იმ კომისრებზე, რომლებმაც არ მოიყვანეს სისრულეში სადაგილ-მამულო კომისიის დადგენილება, რომლის ძალით გლეხებს ღალის მეათედი უნდა გადაეცათ მემამულეებისათვის. კომისარებმა განაცხადეს, რომ ასეთმა ცალმხრივმა განკარგულებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მემამულეთა და გლეხთა შორის.

ამის შესახებ ამხ. ო. ლაცაბიძემ შეიტანა წინადადება დაარსდეს ახლავე შემრიგებელი კამერები, რომ ამით თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი უსიამოვნება. ეს წინადადება უარყოფილ იქნა და ძალაში დარჩა ისევ ძველი დადგენილება.

საჭიროა დიდი მუშაობა, საჭიროა პრაპაგანდისტები, რომ მოსალოდნელი არეულობა თავიდან ავიშოროთ.

ო. ბაზისი.

ახალ სოფლის საზოგადოება. (გორის მაზრა). ეს სოფელი მაინც და მაინც კარგ მდგომარეობაში ვერ არის ჩაყენებული. თავისუფლება ბევრს არც აინტერესებს. არც საკვირველია, რომ არ ესმოდეთ, რადგან არავინ ჰყავთ, რომ მათ ჩააგონოს. ადგილობრივ კომიტეტში შეყვანებული პირები შევიდნენ და თავიანთ მოვალეობას სრულებით ვერ ასრულებენ. ვერ აუხსნიათ ხალხისათვის დღევანდელი მდგომარეობა. ვერც რევოლიუციამ გასჭრა და ქურდობას ბოლო არ ეღება. ამ ცოტა ხანში სოფელს ბორცვანაში გლეხს მიტი გაგლოევს მოპარეს სამი ცხენი. დარჩა საწყალი გლეხი თვალ-ცრემლიანი, მაგრამ ვეღარ მონახა. ეს საზიზღრობა ხდება თათრებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ ამ საზოგადოებასთან ახლოს წალკავში, ს. სარვანში, ჩოლოყში, გოდაქალაში და სხვ. აქედან გამოვიან თათრები-ქურდები და აწყვლიან ოსების ახალგაზდობასაც—აჩვევენ ქურდობას და ლუპავენ. ყველგან ოსებში თითქმის სულ მოისპო ქურდობა—აქ კი არის. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს გორის კომისარიატმა და ხშირათ თავიანთი „პრაპაგანდისტები“ გაგზავნონ იქ. საჭიროა ყოველ კვირა უქმე დღეებში ხალხის მოგროვება და იმათი [illegible]. თუ თათრებს ხელწერილები არ ჩამოერთვათ და თავის ჯულზე არ დააფიცავენ—ისინი ქურდობას არ მოიშლიან. [illegible] ახლო მცხოვრებ ოსებსაც უნდა [illegible]. მეორე უბედურობა აქ კიდევ ის არის, რომ ამ საზოგადოებაში [illegible] ლუპავენ აქ [illegible] ჰყავთ. ხეირიანი პატრონი არავის ჰყავთ საქონლისთვის. საქონელი გადადის წყლებით—ვაი ვაგლახით მოყვანილ ყანებში და აოხრებენ. გარდა ამისა უბედურობა ის არის, რომ ყანების პატრონებს და საქონლის პატრონებს ხშირათ ჩხუბი მოსდით. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ მიყრუებულ სოფლებს.

ხიონ.

კახეთის რკინის გზაზე.

ზოგიერთებს ძალიან ახარებს ყოველგვარი არევ-დარევა და განსაკუთრებით სხვადასხვა ჯგუფებს შორის უკმაყოფილების გაღრმავება. ეს ვაჟბატონები იმის მაგიერ, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი რევოლუციის კეთილად დასაბოლოვებლად იღვწოდნენ, ცდილობენ ძმათა შორის სისხლის ღვრა მოახდინონ. ზემოხსენებული რკინის გზის ზოგიერთი მოსამსახურენი ცდილობენ იმერლების და კახელების შორის შური და მტრობა ჩამოაგდონ.

29 ივლისს, მოხდა შეერთებული კრება ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებისა. კრებამ იქონია მსჯელობა ბადაურის სადგურის უფროსის შესახებ და აღიარა სადგ. უფროსი პროვოკატორათ. შურის ჩამომგდები სადგურის უფროსი ჩამოაყენეს გამოძიების დამთავრებამდის. გარდა ამისა ადგილობრივმა და ცენტრალურმა კომიტეტებმა გადაწყვიტეს შედგეს კომისია 9 კაცისაგან. ამ კომისიაში შედიან: სამი ცენტრალური კომიტეტის წევრი, თითო-თითო პირველი, მეორე და მესამე რაიონების კომიტეტებიდან, თითო-თითო „ერთობის“ და „სახალხოს“ რედაქციებიდან და ერთიც მოსამსახურეებიდან. ეს კომისია შეაგროვებს მასალებს და გამოარკვევს ამ ახირებულ მოვლენის მიზეზებს. გარდა ამისა იქნება არჩეული წარმომადგენლები ყველა მოსამსახურეთაგან (20 ირჩევს 1), ასე რომ აირჩევენ 60 კაცს. ამას მოემატება კიდევ ცენტრალური კომისია 12 კაცისაგან შემდგარი. საჭიროა ყველა მასალები ეხლავე შეაგროვონ ამხანაგებმა და დაუფიქრებლად დაასახელონ ისინი, ვინც ასეთს არევ-დარევას იწვევს კახელ იმერლების შორის.

ხ. ფერაძე.

კონტროლერ-მექანიკ როგოვსკის გასამართლება.

ძველი რეჟიმის დამხობისთანავე ამიერ კავკ. რკ. გზის მოსამსახურეებმა გააძევეს ტელეგრაფის უფროსი, შავრაზმელი ბოროვსკი მაშინვე მოითხოვეს მის მარჯვენა ხელის, კონტრ. მექ. როგოვსკის დათხოვნაც. მაგრამ როგოვსკი შერჩა ნაადგილს. ყვირილაში აშკარა განაგრძობდა რეაქციონერ მოღვაწეობას რკ. გზაზე; ამის გამო ტელეგრაფისტები მოითხოვენ მის დათხოვნას.

ამას მიაქცია ყურადღება ყვირილის რკ. გზის მუშა მოსამსახურეთა კომიტეტმა და 22 ივლისისათვის დანიშნა გამოძიება. დაესწრნენ კომიტეტის წარმომადგენლები: ქუთაისიდან, სამტრედიიდან, შორაპნიდან და ჭიათურიდან. ამნაირათ შესდგა რევოლიუციონური სასამართლო კრება გაიხსნა ამხ. კუპრაშვილის თავმჯდომარეობით.

მოწმეების დაკითხვის შემდეგ წაკითხულ იქნა როგოვსკის მიერ დაჯაბნილ-ნაწამებ ტელეგრაფისტების წერილები და აგრეთვე მრავალი დადგენილებები, სადაც მოითხოვდენ როგოვსკის და მის დამქაშების დათხოვნას. წერილებში აღმაშფოთებელი ფაქტები იყო აღნიშნული.

რევოლიუციონურმა სასამართლომ დაადგინა: როგოვსკი ჩამოყენებულ იქნეს ტელეგრაფის „ნადსმოტრშჩიკათ“ სადგურ ულუხანლუში, სადაც ის იმსახურებს ადგილობრივ კომიტეტის მხედველობის ქვეშ; ამ კომიტეტის ნება დაურთველად მას უფლება არ ექნება სადმე წავიდეს.

ეს დადგენილება უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში ორი კვირის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში როგოვსკი დატუსაღებული იქნება.

როგოვსკის თანამშრომლების საქმე ცალკე იქნება განხილული. კომიტეტმა დეპეშით აცნობა აჯიკაბულში კომიტეტს გამოიძიოს უფროს ტელეგრაფისტ დვორნიკოვის საქმე.

კომიტეტის განკარგულებით როგოვსკის ჩამოერთვა იარაღი.

დამსწრე.

ფონდი.

მივიღე საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ ნიკიტა პარუნაკოვისაგან სოფაროვის ქარხნის მუშებში შეგროვილი 247 მ., ბენედიქტე თევზაძისაგან ქარხანა „კომეტა“-ში შეგროვილი 250 მ. და გუძიევის კოლოფის ქარხნის მუშებისაგან 225 მ. ეს ფულები უკვე გადავეცი დანიშნულებისამებრ.

მეორე რაიონის მდივანი.

წერილები რედაქციის მიმართ.

გაზეთ ერთობის № 87-ში მოთავსებულია კორესპონდენცია [illegible], რომელშიაც კორესპონდენტი „სახინოელი დევნილი“ ბრალს სდებს სხვა და სხვა ბოროტ მოქმედებაში [illegible] სოფლის კომიტეტის ყოფილ წევრს ამბერკი ადიშვილს.

რადგანაც ხსენებული ადიშვილი ეხლა მსახურებს ქუთაისის მილიციაში,—წარმოადგინა სანდო მოწმობა კეთილ საქციელობის და ჩვენც დამ. პარტიაში წევრათ, ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ გავიგოთ, რამდენათ სწორია მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები. ამიტომ ვთხოვთ „სახინოელ დევნილს“, მოგვაწოდოს ყოველივე საბუთები ადიშვილის წინააღმდეგ. ან დაამტკიცოს ან უარ ჰყოს თვითონვე წამოყენებული ბრალდებანი.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მილიციის უფროსი, პოლუჩიკი ჟღენტი.

ქ. ახალსენაკში, 4 ივნისს წ. კ. საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობამ თავისი ნივთიერი საშვალებათა გასაძლიერებლად ადგილობრივ ბაღში გამართა დიდი სახალხო სეირნობა ლატერია-ალეგრით და სხვადასხვა გასართობებით. სეირნობის შემოსავალი სულ ერთად იყო 2551 მ. 63 კ., სეირნობის მოწყობაში დაიხარჯა 658 მ. 20 კ. წმინდა შემოსავალი გამგეობას დარჩა—1893 მ. 43 კ.

გამგეობა მადლობას უცხადებს ყველა იმათ, ვინც კი ნივთიერი დახმარებით თუ პირადი შრომით დახმარება გაგვიწია*)

გამგეობის თავჯ. მაგიერ პ. დარ—ძე.

მდივანი მღ. გ. გამზარდია.

მადლობას უცხადებთ ალექსი მაქ. ქანქლაძეს, რომელმაც შეაგროვა თავის ნაცნობმეგობრებში [illegible] სახალხო სახლის ფონდისათვის ორმოცი მანეთი (40 მ.). აგრეთვე მადლობა შემომწირველთ.

[illegible] სახალხო სახლის სამშენებლო კომიტეტი.

ვაკის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს იასონ მაქსიმელის ძე სითარიძეს, რომელმაც არ დაიშურა და შეაგროვა თავის ნაცნობთა შორის ქალ. ბათუმში მოწოდების ფურცლით № 5, 58 მ. და თვითონაც აღმოუჩინა უხვი დახმარება ვაკის სამკითხველოს. მადლობა შემომწირველთ.

მადლობა აგრეთვე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სადრაძეს, რომელმაც შეაგროვა მოწოდების ფურცლით № 41 თავის ნაცნობთა შორის ქ. ალექსანდროპოლში სულ 61 მან.

ვაკის სამკ. გამგ. მონდ. გამგ. წევრი რაისა გიორგის ასული კეჭელმაძისა.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

შალვა ლესელიძე მსახურობდა კავკასიის მომქმედე ჯარში მე-18 თურქესტანის მსროლელთა პოლკში მე-15 როტაში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ მაცნობოს შემდეგის მისამართით:

Озургеты Хварбетское двухклассное училище учителю Ною Бзекалава для Константина Леселидзе

— ჯარისკაცი შაქრო (ზაქარია) პავლეს ძე კოკოშვილი, სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრები (გორის მაზრა) მსახურობდა კავკასიის მომქმედე ჯარში მე-8 მსროლელთა პოლკში, მე-10 როტაში მე-3 ვზვოდში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ მაცნობოს:

Кавказская армія 8-ой кавк. стрѣлковой полкъ 5 я рота, Ивану Гогиджанишвили.

— ჯარისკაცი ქართულ მსროლელთა პოლკის ალექსანდრე ზახარაძე გარდაიცვალა მე-416 საველე გოსპიტალში სპარსეთში 24 ივლისს, დასაფლავებულია სოფელ გაილდარაბადში.

ჯ.-კ. მიხეილ თოიძე.

— გთხოვთ გვაცნობოთ თუ ვინმემ იცის ამნისტიით განთავისუფლებულ ილარიონ სპირიდონის ძე ვეფხვაძის მისამართი, რომ ამით საშუალება მოგვეცეს ამხანაგების მიერ გადმოცემული ნივთები გადავცეთ. წერილი გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით:

თფილისი. გოლოვინის პრ. № 12, ბიურო თფილისის კომიტეტისა რ. ს. დ. მ. პ.

— ჯარისკაცი ვლადიმერი სილოვანის ძე ტუღუში (სოფ. ხვარბეთი ოზურგეთის მაზ.). მსახურობდა მე-652 ქვეითი პოდოლსკის დრუჟინაში, თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობეთ ამ მისამართით:

Кавказская дѣйствующая армія25 Кавказскій Стрелковый полкъ, 3 рота Якиму Силовановичу Тугуши.

ჩვენი ფოსტა.

შორაპანი. „ისმაილის ნათლულს“. თქვენი წერილი არ მიგვიღია. აგრეთვე ვინ გვწერს ამ ფსევდონიმით არ ვიცით. თუ გვაცნობებთ ვინ ბრძანდებით, მაშინ გიპასუხებთ. თქვენს ღია წერილს როგორც ჩანს ბათუმიდან იწერებით. გეტყობათ მისამართი შეგშლიათ.

ჯარის კაცი

მაკარი კიმოთის ძე ლათათია

მსახურობდა კავკასიის მომქმედე ჯარში (ქ. ბათუმში) მე-221 სათადარიგო ქვეითა პოლკის მე-13 როტაში, 3 ვზვოდში. შვიდი თვეა მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. ვსთხოვთ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი ადრესით: с. Кицхи (Кут. г. Зугдидскаго уѣз. Цалендж. уч.), Кимоте Лататія. რაზედაც ის მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606 ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სახლ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისში

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტეხნიკური ქუჩა, №

გამოცემანი

ბათუმის კომიტეტისა რ. ს.-დ. მ. პ.

გამოვიდა რუსულ ენაზე:

1) საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე—სამაკოვის რედაქციით	15 „
2) რას ითხოვს დემოკრატ. რესპ. ა. მ.	10
3) რას ასწავლის მუშებს ცხოვრება—ვოლოდინის	15 „
4) მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა—ბ. სამოილოვის	10 „
5) რა არის მუშათა პარტია—ს. მიხაილოვიჩის	10 „
5) როგორ უნდა მოიპოვონ გლეხებმა მიწა?—პ. მასლოვის	25 „
7) ვინ რით ცხოვრობს—დიკშტეინის	25 „
8) მუშათა მიზანი რევოლიუციაში—ა. ბოგდანოვის	20 „
9) შრომა და კაპიტალი—სვიდერსკის	35 „
10) ძირს სოციალ-დემოკრ.—ნ. ბრაკესი	10 „
11) ომობა და შუზი—ვ. ლიბკნეხტის	10 „
12) სოც.-დემოკ. მიზანი—ა. ბებელის	10 „
13) რა უნდა ვუქნათ მიწას? პ. მასლოვის	15 „
14) კლასი კლასის წინააღმდეგ—ლ. მარტოვის	15 „
15) ს. დ. პროგრამა რუსულ, ქართულ, ბერძნულ, სომხურ და თათრულ ენებზე	10 „
16) მუნიციპალური პლატფ. რ. ს.-დ. მ. პ.	10 „

ქართულ ენაზე:

1) ჩვენი მიზანი—ვ. ლიბკნეხტისა	35 „
2) რა აზრის არიან სოც.-დემ. და სოც.-რევ. მიწის შესახებ ტ. დირევენსკის და რა უნდა ვუქნათ მიწას—პ. მასლოვის	30 „
3) მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა—სამოილოვის	20 „
4) კლასი კლასის წინააღმდეგ—ლ. მარტოვის	15 „
5) ოთხი ძმა	30 „
6) მუნიციპალური პლატფორმა ს.-დ.	15 „

იბეჭდება რუსულ ენაზე:

1) რა აზრის არიან ს.-დ. და ს.-რ. მიწის შესახებ დირევენსკისა	20 „
2) და რა უნდათ ს.-დემ. ვ. ლევიცკის	20 „

არის აგრეთვე გასაყიდათ, ქართ. ენაზე:

1) სოც.-დემოკრატია, დემოკრატია და სოც.-დემ. და სოც.-რევოლიუციონერები—ნოე ჟორდანიასი.	30 „
2) სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა	20 „
3) რა არის დამფუძნებელი კრება—ვ. სურენკოვის	25 „
4) კომუნისტური მანიფესტი (რუსულ ენაზე)—	20 „

გამოწერა შეიძლება შემდეგი ადრესით: Батумъ, Морская № 3. (бывшій д. губернатора) бюро соц.-дем.

ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 50 ც. დაეთმობათ 20%.

აუკციონი.

თფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 6 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისა.

16 ივლისიდგან თფ. გამოდის ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული ჟურნალი

სოფლის მუშა

ჟურნალის გამოწერა, ფული და მასალა მიიღება შემდეგი მისამართით: თფილისი. სასახლე, სპარსეთის დარბაზი, იოსებ გიორგის ძე იარემაშვილს. გამოსაწერი ფასი წლით 10 მან. ნახევარი წლით—5 მ.ნ., 3 თვით—2 მ. 50 კ. 1, თვით—80 კ.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Реманозовичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба“.

Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

[illegible]

„განათლება“-ში

[illegible] ქართული წიგნები, რომლებიც გადაეგზავნება მსურველებს [illegible].

[illegible] „[illegible]“, „[illegible]“, „კავკ. რაზმი“, „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, და [illegible] წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი: ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

---

*) შემომწირველთა სია არ იბეჭდება.

რედ.

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზეთის შესახვევი № 1.